# ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

## თამარ მეფის გამზირი №16ა



თბილისი
იანვარი, 2021

თამარ მეფის გამზირი მიკროუბნის ისტორიული განაშენიანების ნაწილია, თუმცა, მისი ზედა მხარე არ არის მოქცეული კულტურული მემკვიდრეობის მკაცრი დაცვის ზონაში. საკვლევი ობიექტი კი, თამარ მეფის გამზირი №18, სწორედ ზონის ფარგლებს გარეთ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ღირებული ობიექტია.



დ. აღმაშენებელის (მიხაილოვის, პლეხანოვის) გამზირის ეს ნაწილიც ისევე, როგორც გამზირის თითქმის სრული განაშენიანება, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ჯერ კიდევ ბაღებით იყო განაშენიანებული და ნაწილობრივ გერმანელი კოლონისტების საკუთრება იყო. ფუნქციური თვალსაზრისით, ამ მიდამოში უფრო მეტად სამხედრო დანიშნულების ნაგებობები შენდებოდა – იუნკერთა სასწავლებელი ყოფილი კამოს (დ. უზნაძის) ქუჩაზე; თბილისის სამხედრო კადეტთა ბატალიონის ნაგებობები და სხვ.



ქალაქის ამ ნაწილის აქტიური ათვისება ფაქტობრივად, საბჭოთა პერიოდიდან იწყება – აშენდა ახალი რკინიგზის სადგური; გაფართოვდა სადგურის ქუჩა; აშენდა

კინოსტუდიის შენობა (არქ. მ. ბუზოღლი), ეკლექტური ნაგებობა ეროვნული მოტივების გამოყენების მოტივებით; ე.წ. „საქ-გიპროტრანსი“-ს შენობა, ამჟამად საოფისე-საბანკო ფუნქციის მატარებელია. სპეციალისტების აზრით, ამ მონაკვეთში „ვერტიკალის გაჩენა კომპოზიციური თვალსაზრისით სავსებით გამართლებული იყო, მაგრამ ფასადების მთლიანად შუშით მოპირკეთება თბილისისათვის უცხოა და ექსპლუატაციისათვის უვარგისი, სამხრეთის პირობებში.“ - თ. კვირკველია „თბილისის არქიტექტურა“.



თამარ მეფის გამზირის ისტორიული განაშენიანება ძირითადად XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის 40-იანი წლების პერიოდისაა. რამდენიმე სახლს ისტორიული ძეგლის სტატუსი გააჩნია. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მკვეთრად შეიცვალა ყოფილი სადგურის (ჩელუსკინელების) ქუჩის მასშტაბი. საბჭოთა პერიოდის რეკონსტრუქციის დროს ქუჩა გაფართოვდა და ამ გაფართოებას შეეწირა ძველი განაშენიანების ერთი კვარტალი, – ქუჩა, რომელსაც крошечная ერქვა. ამის შემდგომ, სადგურის ქუჩის მარჯვენა მხარეს ერთმანეთის მიჯრით აიგო რამდენიმე ე.წ. „სტალინური სახლი“ ამ სტილისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული ფორმებით და მასშტაბით. სახლები ძირითადად ხუთსართულიანია, მოპირკეთებულია გათლილი ქვით და მათზე დატანილია საბჭოთა ეპოქისათვის დამახასიათებელი „კლასიცისტური“ არქიტექტურული ელემენტები.



ქუჩის მოპირდაპირე მხარე კი, მაინც ორსამსართულიანი სახლებით დარჩა განაშენიანებული. მათ შორის ისტორიული ღირებულების ნაგებობები თითქმის არ შემოგვრჩა: ზოგი დაინგრა და ზოგიერთმა ისე იცვალა სახე, რომ აუთენტური ხასიათი სრულიად დაკარგა.





თამარ მეფის გამზირ №16 არსებული განაშენიანება ორნაწილიანია – გამზირის მხარეს არსებული შენობა ამპირული არქიტექტურის სახასიათო ნიმუშია, ხოლო ეზოსკენ განივთარებული გრძივი, შეულესავი აგურის ნაწილი, ენფინჯიანცის ყოფილი თამბაქოს ფაბრიკის შენობებს წარმოადგენს.





საკვლევი ტეიტორია, რომელიც მოიცავს მიწის ნაკვეთს და მასზე არსებულ შენობებს აბასთუმნის ქუჩას, სადგურის ქუჩასა და წინამძღვრიშვილის ქუჩებს შორის, სავარაუდოდ, XX ს-ის დასაწყისში განაშენიანდა და იმთავითვე საწარმოო დანიშნულების ნაგებობებით გაშენდა. არსებული ნაგებობა 1913 წლის შემდეგ უნდა იყოს აშენებული და თავისი არქიტექტურით, რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე გავრცელებული საინჟინრო-საწარმოო დანიშნულების ნაგებობების ტიპს წარმოადგენს.

XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში, თბილისის თამბაქოს ქარხნებს მდიდარი სომეხი მეწარმეები ბოზარჯიანცი და ენფიანჯიანცი ფლობდნენ.

თბილისის 1913 წლის გზამკვლევში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, მხოლოდ ენფიანჯიანცის კუთვნილი ქარხანა ფიქსირდება სადგურის ქუჩა №8-ში, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ ამ დროისთვის ელისაბედის (წინამძღვრიშვილის) ქუჩაზე მეორე თამბაქოს ქარხნის შენობა ჯერ არ არსებობდა.






საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება ***ძმები სეილანოვების*** მიერ შეკვეთილი პროექტი, რომელსაც ქალაქის მთავარი არქიტექტორი პავლე ზურაბიანი აწერს ხელს. თუმცა, პროექტზე ფიქსირდება კიდევ ერთი უცნობი არქიტექტორის ხელმოწერა. პროექტი თარიღდება 1913 წლით და ფაქტობრივად არსებული ნაგებობის ესკიზს წარმოადგენს, რომელიც ძირითად, პარამეტრებში ემთხვევა დღემდე შემონახულ მოცულობას. თუმცა, მხატვრულ-არქიტექტურული დეკორი მნიშვნელოვნად განსხვავდება პროექტისაგან.





საბჭოთა პერიოდში შეიცვალა მხოლოდ ფაბრიკების სახელწოდება და არა შინაარსი. თამბაქოს მწარმოებელ ფაბრიკას ***„პროლეტარი“*** ეწოდა, ხოლო მის სიახლოვეს არსებულ პირველ თამბაქოს ფაბრიკას (სადგურის ქუჩაზე) - ***„როზა ლუქსემბურგი“***.




XX ს-ის II ნახევარში შენობებმა ფუნქცია დაკარგეს, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მათ ფიზიკურ მდგომარეობაზე. მიუხედავად ამისა, ***ისინი შეტანილია კულტურული მემკვიდრეობს დაცვის სიაში, როგორც ისტორიული ქალაქის სამეურნეო-სამეწარმეო დანიშნულების უნიკალური ნიმუშები.***





მიმდინარეობს თამარ მეფის გამზირის №18-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ყოფ. თამბაქოს ქარხნის შენობის ეზოს მხარეს მიმართული ნაწილის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროექტი, რომლის ძეგლის ეზოს ნაწილში მდებარე შეულესავი აგურის გრძივი ფლიგელის საფასადე დეკორი მისი დამახასიათებელი ელემენტებით აღსადგენია თავდაპირველი სახით;

- ნაგებობის ფასადიდან მოსაცილებელია ყველა გვიანდელი შეუსაბამო მინაშენი და გადაკეთება;
- ძეგლის ფასადზე არსებული კარ-ფანჯარა გამოსაცვლელია მისი შესაფერისი მაღალხარისხიანი ხის, ან მეტალის ალათებით;
- ძეგლის დაზიანებული აგურის წყობა აღსადგენია შესაბამისი პროფილის სპეციალისტის მიერ;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის რეკონსტრუქცია მასზე დაშენებით, შესაძლებლად მიმაჩნია ძეგლის შესაფერისი მასშტაბის, ფონური ხასიათის თანამედროვე არქიტექტურული ფორმით.

ხელოვნებათმცოდნე

ლალი ანდრონიკაშვილი